

განმარტებითი ბარათი
"უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს
კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

კანონპროექტის მიღება გამოწვეულია საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოში სოციალური მუშაკის როლის ზრდამ. კანონპროექტებით "სოციალური დახმარების სისტემის შესახებ", შშვილობილად აყვანის შესახებ" და " საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ გათვალისწინებული მზრუნველობამოკლებული პირის შვილობილად აყვანის, საბავშვო-სამზრუნველო დაწესებულებაში განთავსების და მეურვეობისა და მზრუნველობის დანიშვნის საკითხები მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოში წყდება სოციალური მუშაკის დასკვნის საფუძველზე, რაც ამ უკანასკნელისათვის ძალიან მნიშვნელოვანი უფლებების მინიჭებასა და პასუხისმგებლობის დაკისრებას ითვალისწინებს. ფაქიურად სოციალური მუშაკი ხდება ადამიანი, რომელიც განსაზღვრავს ბავშვის ოჯახურ გარემოში აღზრდისა და მისი კანონიერი უფლებების დაცვის საკითხს, რაც ამ უკანასკნელის პროფესიული რეგულირების საჭიროებას ქმნის.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიზანია განსაზღვროს რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს სოციალური მუშაკის მომზადებას უზრუნველყოფს. აღნიშნული განაპირობებს მის მიმართ სპეციალური პროგრამული აკრედიტაციის პირობები განსაზღვრას, რაც განხორციელდება შესაბამის პროფესიულ ასოციაციებთან თანამშრომლობით.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტის არსი მდგომარეობს დამატებითი რეგულირებადი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განსაზღვრაში. კერძოდ, 75-ე მუხლის წარმოდგენილი რეგულირების თანახმად, რეგულირებად საგანმანათლებლო პროგრამებს - იურიდიული, სამედიცინო (მათ შორის სავეტერინარო მედიცინის) და პედაგოგიური - ემატება სოციალური მუშაკის საგანმანათლებლო პროგრამა, რაც მიმართ უფრო მნიშვნელოვანი პროგრამული აკრედიტაციის პროცედურის განხორციელებას განაპირობებს.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებით ხარჯებს.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს ცვლილებებს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილში.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებით ხარჯებს.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტი არ ითვალისწინებს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს სახელმწიფოს მხრიდან.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის მიღება არ იწვევს უარყოფით ფინანსურ შედეგებს იმ პირებზე, რომლებზეც იგი ვრცელდება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):

კანონპროექტი არ ითვალისწინებს რაიმე გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის დაწესებას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ ვალდებულებებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან

კანონპროექტის მიღება ხელს შეუწყობს ევრო კომისიის წინაშე საქართველოს ვალდებულებების შესრულებას ბავშვზე ზრუნვის ინსტიტუციური მექანიზმების სრულყოფის თვალსაზრისით.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტის მიღება არ დაარღვევს საქართველოს ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებით ნალისრ ვალდებულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები.

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/ დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

კანონპროექტის შემუშავებაში სხვა დაწესებულებების ექსპერტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ექსპერტის შეფასება არ არსებობს.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი:

კანონპროექტის ავტორია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი.

კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს მთავრობა.